# ხელშეკრულება №001

## (ავტომობილის ნასყიდობის შესახებ)

ქ. თბილისი 25 აგვისტო 2011 წ.

ერთის მხრივ, **შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია“** (საიდენტიფიკაციო კოდი: 204568208, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №34) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **ლევან სანაძის** სახით (შემდგომში **„მყიდველი”**),

და

მეორეს მხრივ, **სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო”** (საიდენტიფიკაციო კოდი: 204478948, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.) წარმოდგენილი დირექტორის **დავით გიორგობიანის** სახით (შემდგომში **„გამყიდველი”**);

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულება არეგულირებს მხარეთა შორის ჰიუნდაის მარკის მსუბუქი ავტომობილის ნასყიდობას და მასთან დაკავშირებულ უფლება-მოვალეობებს. (34100000 – ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებები)

1.2. ხელშეკრულების თანახმად გამყიდველი ყიდის და მყიდველი ყიდულობს **- 1 (ერთი)** ერთეულ, 2011 წლის ავტომობილ **HYUNDAI ELANTRA 1.6 M/T,** (შემდგომში “ნასყიდობის საგანი”).

### 2. ავტომობილის გადაცემის წესი

2.1. მყიდველი ვალდებულია წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღისა უზრუნველყოს ავტომობილის გაყვანა ცენტრიდან, (ჰიუნდაის“-ის სერვის - ცენტრი. მის - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) რომლის შემდგომაც მას წარმოეშობა საკუთრების უფლება მის მიერ შეძენილ ნასყიდობის საგანზე.

2.2. ნასყიდობის საგნის გადაცემა მოხდება წინამდებარე ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან, მყიდველის მოთხოვნისთანავე, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ ხელშეკრულების მხარეები. ამასთან ნასყიდობის საგნის ფიზიკურად გადაცემამდე “მყიდველი”-ს მიერ დაფარული უნდა იქნას ნასყიდობის საგნის სრული სახელშეკრულებო ღირებულება.

2.3. ნასყიდობის საგნის გადაცემასთან ერთად გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ავტომობილის ტექნიკური საბუთები, ზუსტი აღწერილობით. ავტომობილის ტექნიკური მახასიათებლები წარმოდგენილია წინამდებარე ხელშეკრულების დანართ №1-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.4. გამყიდველის განცხადებით ნასყიდობის საგანს არ გააჩნია რაიმე სახის უფლებრივი და ნივთობრივი ნაკლი. ნასყიდობის საგანს არ აქვს ისეთი დაფარული ნაკლი, რისი არსებობაც შეამცირებდა ნასყიდობის საგნის ღირებულებას, ან ხელს შეუშლიდა მის დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

2.5. ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში ნასყიდობის საგანზე გავრცელდება საგარანტიო პირობები. ამასთან, მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერამდე მყიდველს უფლება აქვს თავისი შეხედულებებისამებრ დამატებით ჩაატაროს ავტომობილის ტექნიკური და გარეგნული მდგომარეობის შემოწმება (ინსპექტირება). ავტომობილის გადაცემიდან თუ ნასყიდობის საგანს აღმოაჩნდა ფარული ნაკლი, გამყიდველი ვალდებულია, გამოასწოროს იგი საგარანტიო პირობების ფარგლებში, ან შეცვალოს ახლით, მყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

### 3. ნასყიდობის საგნის ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის საგნის ღირებულება შეადგენს **13 500 (ცამეტი ათას ხუთასი)** აშშ დოლარს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

3.2. ნასყიდობის ფასი მოიცავს ნასყიდობის საგნის ღირებულებას, რომელიც მიწოდების მომენტისათვის განბაჟებულია და თავისუფალია ყველა სხვა გადასახადისაგან. ფასში ასევე შესულია ავტომობილის შსს “მომსახურების სააგენტოში” გაფორმებისა და სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრის ღირებულება. გამყიდველი იღებს ვალდებულებას შსს “მომსახურების

სააგენტო"-ში მყიდველის საკუთრებაში დაარეგისტრიროს ნასყიდობის საგანი (ავტომობილი) თავისი ხარჯებით (გარდა სპეცნომრებისა, რომლებიც სპეციალურ ტარიფებით გაიცემა).
3.5. ხელშეკრულების ხელმოწერიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში მყიდველი გამყიდველს წინასწარ უხდის სახელშეკრულებო ღირებულების ჯამურ თანხას.
3.6. ანგარიშსწორება გამყიდველთან წარმოებს **უნაღდო** ანგარიშსწორებით ფორმით, მის მიერ წარმოდგენილი ინვოისის საფუძველზე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ანგარიშსწორების დღეს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.
3.7. მყიდველი არ იხდის იმ თანხებს, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით.

## 4. მხარეთა უფლება-მოვალეობები

**4.1. "გამყიდველი" ვალდებულია:**
4.1.1. გადასცეს მყიდველს ავტომობილი და მასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია საკუთრების უფლებით;
4.1.2. გადასცეს მყიდველს ავტომობილი უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო მდგომარეობაში;
4.1.3. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა გადაუფორმოს და დაურეგისტრიროს მყიდველს ზემოხსენებული ავტომობილი;
4.1.4. ნასყიდობის საგნის გადაცემამდე შეინახოს იგი ცენტრში, (ჰიუნდაის"-ის სერვის - ცენტრი. მის - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ) არანაკლებ 60 (სამოცი) კალენდარული დღისა;
4.1.5. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
4.1.6. მოითხოვოს მყიდველისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;

**4.2. "მყიდველი" ვალდებულია:**
4.2.1. მიიღოს საკუთრებაში ავტომობილი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
4.2.2. გადაუხადოს გამყიდველს ნასყიდობის საგნის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ოდენობით;
4.2.3. მოითხოვოს გამყიდველისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;
4.2.4. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულებები;

## 5. საგარანტიო პირობები

5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ საგარანტიო პირობები გამოიწერება, როგორც მყიდველზე, ისე მყიდველის მიერ მითითებულ კონკრეტულ პირზე.
5.2. გამყიდველი უზრუნველყოფს მყიდველს საქარხნო გარანტიით მიწოდებული ავტომობილის და აგრეგატების გამართულ მუშაობაზე მხარეების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 5 (ხუთი) წლის ვადით, ულიმიტო გარბენის ლიმიტით. ამ პერიოდში გამყიდველი ქარხნული დეფექტების აღმოჩენის შემთხვევაში, თავისი ხარჯებით ახდენს ავტომობილის შეკეთებას და მისი სათადარიგო ნაწილების შეცვლას.
5.3. მყიდველი ვალდებულია დაიცვას გამყიდველის ნორმატივებით დადგენილი ექსპლოატაციის წესები, კერძოდ: 1) საგარანტიო პერიოდის განმავლობაში ნებისმიერი სახის მომსახურება გაიაროს მხოლოდ „ჰიუნდაის" ტექნიკური მომსახურების დაწესებულებაში; 2) საგარანტიო ვადის განმავლობაში ნებისმიერი ნაწილი (გარდა უმნიშვნელო დეტალებისა, რომელიც გავლენას ვერ მოახდენს ნასყიდობის საგნის არსებით ფუნქციონირებაზე) შეიძინოს (შეუკვეთოს) „ჰიუნდაის"-ის სერვის - ცენტრში. მისამართზე - ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, გამყიდველი ვალდებულია აღნუსხოს მომსახურება და გასცეს შესაბამისი მტკიცებულება; 3) საგარანტიო პერიოდში განახორციელოს ზეთის სავალდებულო შეცვლა შემდეგი სქემით: ა) 1000-2000კმ გარბენზე; ბ) 11000კმ გარბენზე; გ) 21000 კმ გარბენზე; დ) შემდგომ ყოველ 10000 კმ გარბენზე; ამ მოთხოვნათა დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში გამყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს გარანტია.
5.4. გარანტია არ ვრცელდება:
5.4.1. სწრაფცვეთად ნაწილებზე კერძოდ: (ზეთი, ფილტრები, ხუნდები, ღვედები, საბურავი, ამორტიზატორი და ა.შ) მაგალითად: ზეთის გამოცვლა, ზეთები, საპოხი მასალა და სხვა სითხეები, ზეთის/ჰაერის ფილტრები, მუხრუჭის ხუნდები, ამორტიზატორები, საბურავების

ურთიერთგადანავლება, გასუფთავება/გაპრიალება, შუშის საწმენდი ჯაგრისები, შეჭიდულობის ზესადები და ძრავის რეგულირება.
5.4.2. ასევე იმ შემთხვევაში თუ გამოსაცვლელ დეტალზე აღინიშნება მექანიკური ან სხვაგვარი გარეგანი დაზიანების კვალი, კერძოდ:

- საავტომობილო შემთხვევებით, შეჯახებით ან ავტომობილთან რომელიმე საგნის შეჯახებით;
- ქურდობით, ვანდალიზმით თუ ჯანყით;
- ხანძრით ან აფეთქებით;
- გაყინვით;
- ავტომობილის არასათანადო გამოყენებით, როგორიცაა მართვა ბორდიურებზე, გადატვირთვა, სიჩქარის გადაჭარბება, ან მანქანის როგორც ენერგიის სტაციონარულ წყაროდ გამოყენება;
- ავტომობილში, მათ შორის ძარაში, ან სხვა კომპონენტებში ცვლილებების შეტანამას შემდეგ რაც ავტომობილი აღარ არის ჰიუნდაის ზედამხედველობის ქვეშ;
- დამონტაჟებული ნაწილები, რომლებიც გამყიდველს არ ეკუთვნის მას შემდეგ რაც ავტომობილი აღარ არის გამყიდველის ზედამხედველობის ქვეშ. მაგალითად, როგორიცაა ბოჭკოვანი ტელეფონები, სიგნალიზაციები და ავტომატური ჩართვის სისტემები, სამუშაო უნარის გაზრდის ჩიპები და სხვ;
- ავტომობილთან არასწორი მოპყრობა, გამობოლქვის სისტემებთან ან სხვა ნაწილებთან არასწორი მოპყრობა რომლებსაც ზემოქმედება აქვთ მოცემულ სისტემებზე;
- გარბენის მრიცხველის გათიშვა ან ცვლილება ან -გარბენის მრიცხველის გათიშვა უმუშევრად დატოვება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, რის შედეგადაც შეუძლებელია ფაქტობრივი გარბენის განსაზღვრა;
- დაბინძურებული თუ არასათანადო საწვავის/სითხის გამოყენება ;
- მომხმარებლის მიერ გამოყენებული ქიმიური ნივთიერებები ან შემთხვევით მათ დაღვრ;
- წყალში ღრმად ტარება, როცა წყალი აღწევს ძრავაში. და ა.შ ;

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. ხელშეკრულებით გათვალისინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით, მეორე მხარისათვის მიყენებულ ზარალზე, მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
6.2. მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი დარღვევის და/ან შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს უფლება აქვს წერილობით მიუთითოს მას აღნიშნულ გარემოებაზე და მოსთხოვოს მისი გამოსწორება გონივრულ ვადაში (რაც შეტყობინების სახით ეგზავნება მეორე მხარეს), ხოლო შეტყობინებაში მითითებული ვადის გასვლის შემდეგ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება.
6.3. მხარეს შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან არაჯეროვანი შესრულებით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.
6.4. „გამყიდველს" ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევის შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო 2%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
6.5. „გამყიდველის" მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მის მიერ ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისგან.
6.6. ხელშეკრულებიდან ვადამდე გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

## 7. ფორს-მაჟორი

7.1. მხარეები არ აგებენ პასუხს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის, თუ ეს უკანასკნელი გამოწვეულია სტიქიური მოვლენებით, კატასტროფებით, საომარი მოქმედებებით ან სხვა ფორს-მაჟორული მდგომარეობით, რომელიც წარმოიშვა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ.
7.2. მხარე რომელიც დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ვალდებულია ამის შესახებ სამი დღის განმალობაში წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

7.3. დაუძლეველი ძალის გარემოთა ერთ თვეზე მეტი ვადით არსებობისას, მხარეს, რომელიც არ იმყოფებოდა ასეთი გარემოებათა მოქმედების ქვეშ, უფლება აქვს ცალმხრივად ბათილად სცნოს ხელშეკრულება და 10 დღის ვადაში წერილობითი ფორმით აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 8. დავების განხილვა

8.1 მხარეთა შორის წარმოქმნილი ნებისმიერი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ განხორციელდა, მაშინ დავა განიხილება სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

## 10. სხვა პირობები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების გადასინჯვა და მასში რაიმე ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.
10.2. წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოშობილი ისეთი ურთიერთობები, რომლებიც არ არის მოწესრიგებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
10.3. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა, ან მოქმედების შეწყვეტა არ გამოიწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.
10.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად და ორივეს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება მყიდველთან, ხოლო მეორე – გამყიდველთან.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები:

"მყიდველი"

შპს „საქართველოს ლატარიის კომპანია"
ს/კ 204568208
მის: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №34
საბანკო რეკვიზიტები:
ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი
ბ/კოდი: LBRT GE 22
ა/ა GE28 LB01 1312 1375 3560 03

გენ. დირექტორი

---

ლ. ხანაძე

"გამყიდველი"

სს "ჰიუნდაი ავტო საქართველო"
ს/კ 204478948
მის: თბილისი, ალმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.
საბანკო რეკვიზიტები:
სს „თიბისი ბანკის" ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE 96 TB06 0000 0360200182

დირექტორი

---

დ. გიორგობიანი

„ავტომობილის ნასყიდობის შესახებ" ხელშეკრულების

# დ ა ნ ა რ თ ი №1



HYUNDAI | NEW THINKING. NEW POSSIBILITIES.

HYUNDAI AUTO GEORGIA

## HYUNDAI ELANTRA 1.6 M/T

5 წელი გარანტია ულიმიტო გარბენი

*Unit - 1*
*Color – Silver*
*Vehicle identification code: KMHDG41CACU220824*
*6 speed manual transmission*
*Engine: 1,600 cm³, petrol, 16 valves*
*4 cylinder*
*Horse power: 130*
*length-width-height : 4,530X1,775X1,445*
*Max speed: 180*
*Fuel tank capacity 50 L.*
*ABS*
Dual Air bag (driver's & pass's side)
Power steering
Tilt steering
Tires: 195/60 R15
Front fog lamps
Leather steering wheel
Fabric seats
Room lamp
Keyless entry system
Luggage net
Trip computer
Central door lock
Power windows (Rear + Front)
Electric heated mirrors
Height adjuster driver's side
Air conditioner
Audio: (radio+CD+MP3)
i-pod cable
USB+AUX
Spare full size tire

*ერთეული - 1*
*ფერი – ვერცხლისფერი*
*ტრანსპორტის საიდენტიფიკაციო ნომერი:*
*KMHDG41CACU220824*
*6 სიჩქარიანი მექანიკური გადაცემათა კოლოფი*
*ძრავი: 1,600 სმ³, ბენზინი, 16 სარქველი*
*4 ცილინდრი*
*ცხენის ძალა: 130*
*სიგრძე/სიგანე/სიმაღლე: 4,530X1,775X1,445*
*მაქსიმალური სიჩქარე: 180 კმ/სთ*
*საწვავის ავზის მოცულობა: 50 ლ.*
*ABS*
ორი უსაფრთხოების ბალიში
საჭის სიმაღლის რეგულირება
საჭის ჰიდროგამაძლიერებელი
საბურავები: 195/60 R15
წინა ნისლის საწინააღმდეგო ფარები
ტყავით გაწყობილი საჭე და გადაცემათა კოლოფი
ნაჭრის სალონი
სალონის განათება
ცენტრალური საკეტი დისტანციური მართვით
ბადე საბარგულში
ბორტ კომპიუტერი
ელექტრო რეგულირებადი შუშები (წინა და უკანა)
ელექტრო რეგულირებადი სარკეები გამათბობლით
მძღოლის სავარძლის სიმაღლის რეგულირება
კონდიციონერი
მაგნიტოლა: რადიო+CD+MP3
Ipod შესაერთებელი კაბელი
USB+ AUX
სათადარიგო საბურავი საბარგულში

"მყიდველი"
-----------------------------------------

"გამყიდველი"
-----------------------------------------